საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი კვლევითი პროექტი და შეფასების კრიტერიუმები

სამშენებლო
ფაკულტეტი

2021

კვლევის პროექტის მიზანი და სტრუქტურა

კვლევითი პროექტის **მიზანია** წარმოაჩინოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა წინასწარი ხედვა, მზაობა და მოტივაცია მომავალი კვალიფიკაციის და კვლევითი საქმიანობის მიმართ.

კვლევის პროექტი, რომლის წარმოდგენაც ევალებათ სამშენებლო ფაკულტეტზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს, **უნდა მოიცავდეს** აპლიკანტის სასურველი კვლევის მიმართულებას, მიზნებს და წინასწარ შეხედულებებს მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

პროექტის მიმოხილვა **უნდა მოიცავდეს** საკვლევი საკითხის სიახლეს და აქტუალობას, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკურ განმარტებას და დასაბუთებას.

აპლიკანტმა ლოგიკური მსჯელობით უნდა დაასაბუთოს წინასწარი შეხედულება/მოლოდინი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

კვლევის პროექტის გაფორმების ინსტრუქცია

კვლევის პროექტის მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 20 გვერდისა.

ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე.

შრიფტი - Sylfaen.

შრიფტის ზომა - 12.

თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი.

ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში სხვა სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად ასევე უნდა წარადგინოს კვლევის პროექტი როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD).

კვლევის პროექტის შეფასების წესი

წარმოდგენილი კვლევითი პროექტის შეფასებას უზრუნველყოფს საფაკულტეტო დროებითი კომისია ღია კენჭისყრით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დეპარტამენტის ჩართულობით.

კომისიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული და დაიწერება საბოლოო შეფასება.

უმაღლესი დადებითი შეფასებაა **15 ქულა**